მედიის
ინსტიტუტი

მიმდინარე პროტესტის ფარგლებში სხვადასხვა ჯგუფის წინააღმდეგ განხორციელებული დევნა

2025

Media Institute
მედიის ინსტიტუტი

მიმდინარე პროტესტის ფარგლებში სხვადასხვა ჯგუფის წინააღმდეგ განხორციელებული დევნა

(შემაჯამებელი ანგარიში)

ავტორი: ნატო მირზაშვილი

რედაქტორი: სოფიკო ბებერაშვილი

ხელმძღვანელი: ნინო ჩალაძე

2025

სარჩევი

შესავალი.....3

აქციის მონაწილეების მიმართ განხორციელებული უფლებადარღვევები 4
მედიისა და ჟურნალისტების მიმართ განხორციელებული უფლებადარღვევები 9
სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიმართ განხორციელებული უფლებადარღვევები 12
საჯარო სექტორში დასაქმებულთა მიმართ განხორციელებული უფლებადარღვევები 14
პროტესტში ჩართულ პირებთან ჩატარებული ინტერვიუები - ძირითადი ტენდენციები და მიგნებები 16

სამართლებრივი ანალიზი.....22

დასკვნა.....26

რეკომენდაციები.....27

შესავალი

2024 წლის 28 ნოემბერს „საქართველოს პრემიერ-მინისტრ“ ირაკლი კობახიძის მიერ გაკეთებულ განცხადებას, რომელიც ევროკავშირთან მოლაპარაკებების გახსნის 2028 წლამდე გადადებას შეეხებოდა, მასობრივი საპროტესტო აქციები მოჰყვა. მშვიდობიანი დემონსტრაციების კვალდაკვალ დაიწყო იმ პირების/ორგანიზაციების უფლებების დარღვევა, რომლებიც პროტესტში სხვადასხვა ფორმით იყვნენ/არიან ჩართული. „ქართული ოცნების“ მიერ *უფლებადარღვევები დღემდე აქტიურად ხორციელდება,* რაც ძირითადად *დემონსტრანტებისა* და *ჟურნალისტების* მიმართ წამებას, არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას, ფიზიკურ ძალადობას, მედიის წარმომადგენლებისთვის პროფესიული საქმიანობის განხორციელებაში ხელშეშლას, უკანონო დაკავებას/დაჯარიმებას, *სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების* საქმიანობის შეზღუდვას/ფაქტობრივ აკრძალვას, კრიტიკულად განწყობილი *საჯარო მოსამსახურეების* გათავისუფლებასა და ოპოზიციური*პოლიტიკურიპარტიებისთვის* საქმიანობის აკრძალვას მოიცავს. ამ ყველაფერმა კოორდინირებული, სისტემური დევნის სახე მიიღო.

წინამდებარე შემაჯამებელი ანგარიში ასახავს მიმდინარე პროტესტის ფარგლებში **2024 წლის 28 ნოემბრიდან 2025 წლის 6 ნოემბრის** ჩათვლით 4 ჯგუფის - *აქციის მონაწილეების, მედიის წარმომადგენლების, სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა* და *საჯარო მოსამსახურების* - მიმართ განხორციელებულ უფლებადარღვევებს.

შემაჯამებელი ანგარიშის მიზანს წარმოადგენს საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროებისა და მედიის ინსტიტუტის მიერ *ჩატარებული ინტერვიუების* საფუძველზე გააანალიზოს და მიმოიხილოს უფლებადარღვევების ის ფორმები, რომელთაც „ქართული ოცნება“ 2024 წლის 28 ნოემბრიდან პროტესტში ჩართული *სხვადასხვა ჯგუფის დევნისთვის* იყენებს.

აქციის მონაწილეების მიმართ განხორციელებული უფლებადარღვევები

მიმდინარე საპროტესტო აქციის მონაწილეების წინააღმდეგ პარტია „ქართული ოცნება“ სხვადასხვა სახისა თუ ფორმის უფლებადარღვევებს ახორციელებს, რომელთა მიზანს პროტესტის ჩახშობა და შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების ფაქტობრივი აკრძალვა წარმოადგენს.

2024 წლის 28 ნოემბრიდან 8 დეკემბრის ჩათვლით დემონსტრანტების უფლებათა დარღვევები ძირითადად მოიცავდა: შინაგან საქმეთა სამინისტროს *(შემდგომში „შსს“)* სხვადასხვა ქვედანაყოფის მიერ აქტიური სპეციალური საშუალებების *(ცრემლსადენი გაზის კაფსულა, ე.წ. „წიწაკის სპრეი“, წყლის ჭავლი)* არაპროპორციული და უკანონო გამოყენებით **მშვიდობიანი აქციის ძალადობრივ დაშლას**; შსს-ს ან/და არაფორმალური ჯგუფების მხრიდან *ფიზიკურ ძალადობას,* ფიზიკურ/სიტყვიერ შეურაცხყოფას, **წამებას, არაადამიანურ** და **დამამცირებელ მოპყრობასა** და *უკანონო დაკავებებს*.[1]

2024 წლის 28 ნოემბრიდან 10 დეკემბრამდე შსს-ს სხვადასხვა ქვედანაყოფმა ძირითადად *სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის* ან *წვრილმანი ხულიგნობის* უსამართლო საფუძვლით ადმინისტრაციული წესით აქციის 430 მონაწილე დააკავა, [2] სისხლის სამართლის წესით კი - 31, რომელთა უდიდესი ნაწილი დღემდე პოლიტიკური ნიშნით პატიმარს წარმოადგენს. [3] საერთო ჯამში დაკავებული 460-ზე მეტი ადამიანიდან აქციის **300-ზე მეტი მონაწილე დაექვემდებარა** ცემას, წამებასა და არაადამიანურ მოპყრობას. [4] მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ „ქართული ოცნება“ სისხლისსამართლებრივი წესით დევნას, მათ შორის ისეთი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ბრალდებას, როგორიც ნარკოტიკული დანაშაულია, პროტესტის მონაწილეთა *„შეკრებისა და გამოხატვის*

---

[1] Friedrich Naumann Foundation, *„Georgia's Pro-European Protests - Unlawful Suppression and Human Rights Violations“*, 10.12.2024; იხ. ბმული [20.10.2025].

[2] „Civil.ge“, *„CSOs Joint Statement Condemning Arrests, Torture, and Repression in Georgia“,* 10.12.2024; იხ. ბმული; ასევე იხილეთ: მედიის ინსტიტუტი (2025), *„პროტესტის მონაწილეთა წინააღმდეგ განხორციელებული დევნა (საკანონმდებლო ცვლილებები და არსებული პრაქტიკა)“,* გვ. 6; იხ. ბმული; „რადიო თავისუფლება“, ახალი ამბების ველი, *„რუსთაველის გამზირზე დაიწყო საპროტესტო აქცია“*, 08.12.2024; იხ. ბმული [20.10.2025].

[3] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (2024), *„სამოქალაქო უფლებები მზარდი საპოლიციო ტერორის პირისპირ“*, გვ. 34; იხ. ბმული [20.10.2025].

[4] Council of Europe - Commissioner for Human Rights, *“Memorandum on the human rights situation in Georgia”,* გვ. 3, პარაგრაფი 14; იხ. ბმული [20.10.2025].

თავისუფლების უფლებაზე ზეწოლისთვის იყენებს“ [5] და მათ პოლიტიკური ნიშნით აკავებს/აპატიმრებს. საგანგაშოა როგორც სისხლის სამართლის, ასევე ადმინისტრაციული წესით დაკავებული პირების საქმეებზე მტკიცებულებათა ფალსიფიცირების, მათ შორის *დაკავების ოქმების გაყალბებისა* და *ცრუ მოწმეების გამოყენების* პრაქტიკაც.

შსს-ს სხვადასხვა ქვედანაყოფის თანამშრომლები დემონსტრანტებზე ძალადობდნენ მშვიდობიანი შეკრების დაშლის დროს, უშუალოდ დაკავებისას და დაკავების შემდგომ პერიოდში როგორც საპროტესტო აქციის ტერიტორიაზე, ასევე ახლომდებარე ქუჩებში, მოგვიანებით კი პოლიციის ავტომანქანებში. [6] ისინი არაადამიანურად ეპყრობოდნენ აქციის მონაწილე *ქალებს, არასრულწლოვნებს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს*.[7]

საპროტესტო აქციების ფარგლებში დემონსტრანტების მიმართ სხვადასხვა ფორმის უფლებადარღვევებს, შსს-ს ქვედანაყოფების გარდა, „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებიც ახორციელებენ.[8] მათ გარდა, პარტიის მიერ ირიბად ან პირდაპირ *მხარდაჭერილი ძალადობრივი ჯგუფები,* ე.წ. „ტიტუშკებიც“ არაერთხელ დაესხნენ თავს აქციის/მარშის მონაწილეებს. პროტესტის მონაწილეებზე სასამართლოს შენობის **მანდატურის სამსახურის თანამშრომლებიც** ძალადობენ იმ დროს, როდესაც დემონსტრანტები პოლიტიკური ნიშნით დაკავებული პირების სასამართლო სხდომებს ესწრებიან. ქალაქ თბილისის საქალაქო სასამართლოს მანდატურების მიერ მოქალაქეებზე ძალადობის შემთხვევების შესახებ პროკურატურაში შეტანილია 20-ზე მეტი საჩივარი, რომლებშიც ძირითადად სასამართლოს მანდატურების უფროსი, დავით მატიაშვილი, ფიგურირებს.[9]

2025 წლის 4 ოქტომბერს თვითმმართველობის არჩევნების პარალელურად გამართულ საპროტესტო აქციაზე შსს-ს სხვადასხვა ქვედანაყოფმა დემონსტრანტების წინააღმდეგ *ცრემლსადენი გაზის კაფსულები, ე.წ. „წიწაკის*

---

[5] იქვე, გვ. 6.

[6] World Organisation Against Torture (OMCT), *“Briefing note Torture and Ill-Treatment During Protests and Suppression of Political Dissent in Georgia in November-December 2024”*, March 2025, გვ. 6; იხ. ბმული [20.10.2025].

[7] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია), ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRC), დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი (DRI) და სხვ. (2025). *„ადამიანის უფლებების კრიზისი საქართველოში 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ - 2024 წლის 28 ნოემბერი-2025 წლის 28 თებერვალი“*, გვ. 58-60; იხ. ბმული [20.10.2025].

[8] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია), *„საია ეხმიანება 2025 წლის 8 სექტემბრს, მელიქიშვილის გამზირზე საპროტესტო აქციის მონაწილეებზე თავდასხმას“*, 09.09.2025; იხ. ბმული [20.10.2025].

[9] „რადიო თავისუფლება“, *„წაუყენებენ ბრალს მანდატურებს? - პროკურატურამ სასამართლოდან, სავარაუდოდ, კამერების ჩანაწერები გამოითხოვა“,* 31.10.2025, იხ. ბმული; *„სადაც ძალადობაა, ყველგან ის არის“, - მანდატურების ხელშეუხებელი უფროსი“,* 03.10.2025, იხ. ბმული [31.10.2025].

სპრეი“ და *წყლის ჭავლი* გამოიყენა, რის შედეგადაც 60-ამდე ადამიანი დაშავდა. დემონსტრანტების ნაწილმა, ტრამვების გარდა, მიიღო კანის დამწვრობა, პროფესიული მოვალეობის შესრულებაში ხელი შეეშალათ და დაშავდნენ ჟურნალისტები. [10] 4 ოქტომბრის მოვლენებთან დაკავშირებით ჯგუფური ძალადობის ორგანიზების, ნივთის დაზიანების ან განადგურების, საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შეცვლისაკენ მოწოდების და სხვა საფუძვლებით მიმდინარე გამოძიების ფარგლებში **62 პირია დაკავებული**. [11] მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ აქციის აღნიშნული მონაწილეების დაკავება <u>არაერთი დარღვევით</u> მოხდა.[12]

აქციის მონაწილეების მიმართ განხორციელებულ ზემოგანხილულ უფლებადარღვევებთან ერთად ასევე აღსანიშნავია მათ სახლებსა და სამუშაო სივრცეებში **ჩხრეკისა და ამოღების თვითნებური მოქმედებების,** ხოლო ქუჩებსა და მეტროსადგურებში ე.წ. **„ზედაპირული“ ჩხრეკის განხორციელების პრაქტიკა,** რომელიც „ქართული ოცნების“ მიერ უკანონოდ, დემონსტრანტების დევნის მიზნით გამოიყენება. [13] პროტესტის მონაწილეების *(ძირითად შემთხვევაში დაკავებულების)* მიმართ განხორციელებულ უფლებადარღვევას ასევე წარმოადგენს „პირადი ჩხრეკის ან შემოწმების საბაბით“ მათი **იძულებითი და სრული გაშიშვლების პრაქტიკა**, რომელიც, სახალხო დამცველის განცხადებით, შეწყვიტა იუსტიციის სამინისტრომ, თუმცა დემონსტრანტების მიმართ დამამცირებელი მოპყრობის აღნიშნული ფორმის

---

[10] “Radio Free Europe/Radio Liberty’’, *"Georgian Police Deploy Pepper Spray, Water Cannons As Thousands Protest In Tbilisi“*, 05.10.2025, იხ. <u>ბმული</u>; „Civil.ge“, *“October 4 Continues to Haunt Georgia as Questions Persist“*, 20.10.2025, იხ. <u>ბმული</u>; „რადიო თავისუფლება“, *„პოლიციელები, დემონსტრანტები, ჟურნალისტები - 4 ოქტომბრის აქციაზე რამდენიმე ათეული ადამიანი დაშავდა“*, 05.10.2025, იხ. <u>ბმული</u> [22.10.2025].

[11] „რადიო თავისუფლება“, *„62-ამდე გაიზარდა 4 ოქტომბრის აქციის შემდეგ დაკავებული ადამიანების რაოდენობა“*, 17.10.2025, იხ. <u>ბმული</u> [22.10.2025].

[12] „რადიო თავისუფლება“, *„4 ოქტომბრის საქმეზე დაკავებულ დემონსტრანტ ფიცხელაურს დაზიანებები აქვს პოლიციის ძალადობის გამო - ადვოკატი“*, 07.10.2025, იხ. <u>ბმული</u>; „TV პირველი“, *„ერთი მწვდა, რამდენს ალაპარაკებთო, გადმომიღეს მანქანიდან, მათრიეს“ - ვახო ფიცხელაური დაკავების დეტალებზე“*, 08.10.2025, იხ. <u>ბმული;</u> „TV პირველი“, *„პოლიციის სამმართველოში მითხრეს, გიხმართო“ - 4 ოქტომბრის საქმეზე დაკავებული“*, 08.10.2025, იხ. <u>ბმული;</u> *„დაკავებისას მცემეს! ერთი გდდ-ის თანამშრომელი იყო“ - 4 ოქტომბრის საქმეზე დაკავებული დავით ჟღენტი“*, 08.10.2025, იხ. <u>ბმული</u>; *„სასახლის ღობის საქმე - ამირან დოლიშვილი ამბობს, რომ დაკავებისას სპეცრაზმელმა დაარტყა“*, 11.10.2025, იხ. <u>ბმული;</u> „პუბლიკა“, *„აქტივისტების ინფორმაციით, გამთენიისას შსს-მ რამდენიმე ადამიანი დაკავა“*, 17.10.2025, იხ. <u>ბმული</u>; „TV პირველი“, *„დაკავებული აქტივისტის ოჯახი პოლიციას ე.წ. დუბინკით გაუპატიურების მუქარაში ადანაშაულებს“*, 17.10.2025, იხ. <u>ბმული</u>; *„აქტივისტი მარიამ მეყანწიშვილი 6 წლის შვილის თანდასწრებით დაკავეს - ახალი დეტალები“*, 17.10.2025, იხ. <u>ბმული</u> [21.10.2025].

[13] მედიის ინსტიტუტი (2025), *„ადამიანის უფლებათა დამცველების წინააღმდეგ თვითნებური საგამოძიებო მოქმედებებით განხორციელებული დევნა“*, გვ. 1-4, იხ. <u>ბმული</u>; „რადიო თავისუფლება“, *„მეტროებში ისევ გრძელდება მოქალაქეების ჩხრეკა, რომელსაც შსს „ზედაპირულ დათვალიერებას“ უწოდებს“*, 05.12.2024, იხ. <u>ბმული</u>; *„ზედაპირული ჩხრეკა“ ქუჩაში თუ პოლიციის „უკანონო თვითნებობა“ - რისი უფლება აქვს და არ აქვს პოლიციას“*, 03.04.2025, იხ. <u>ბმული</u> [22.10.2025].

გამოყენება *დღესაც გრძელდება*.[14] ნიშანდობლივია, რომ პარტია „ქართული ოცნება“ აქციის მონაწილეთა უფლებების ხელყოფას გამოხატვის თავისუფლების სხვადასხვა ფორმის *ფაქტობრივი კრიმინალიზებითაც* ახორციელებს.[15]

2024 წლის 13 დეკემბრიდან პროტესტის მონაწილეთა დევნა ძირითადად საკანონმდებლო აქტებში ცვლილებების მასიურად შეტანით და მათ საფუძველზე შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების უფლების დარღვევით ხორციელდებოდა.[16] **2025 წლის 16 ოქტომბერს** მიღებული საკანონმდებლო ცვლილებებით „ქართულმა ოცნებამ“ შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების უფლებები ფაქტობრივად გააუქმა - შეკრებაზე ან მანიფესტაციაზე *პიროტექნიკური ნაწარმის* ფლობისთვის ან ისეთ აქციაში მონაწილეობისთვის, რომელიც შსს-ს მოთხოვნით შეწყდა, სახდელის *ერთადერთ ფორმად*[17] 60 დღემდე ადმინისტრაციული პატიმრობა განსაზღვრა, *სახის ნიღბით* ან სხვა საშუალებით დაფარვისთვის და *„გზის ხელოვნურად გადაკეტისთვის“* კი - **15 დღემდე ადმინისტრაციული პატიმრობა**.[18] ნიშანდობლივია, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ზემოაღნიშნულ ქმედებათა კრიმინალიზებაც მოახდინა.[19] „ქართულმა ოცნებამ“ მიღებული რეპრესიული ცვლილებები 2025 წლის 18 ოქტომბერს აამოქმედა, როდესაც პოლიციამ აქციის მონაწილეების *გაჩერება, იდენტიფიცირება,* მათი *პირბადის, ე.წ. ბალაკლავის, ქუდისა* და *კაშნეს დალუქვა* დაიწყო.[20] 19 ოქტომბერს შსს-მ „გზის ხელოვნურად გადაკეტვისა“ და სახის შენიღვბის საბაბით აქციის **14 მონაწილე დააკავა**, რომელთაგან 9 პირს

---

[14] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, სიახლეების ველი, *„სია ეხმიანება დაკავებულთა გაშიშვლების დაუშვებელ პრაქტიკას“,* 29.03.2025, იხ. ბმული; „Civil.ge“, *„სახალხო დამცველი: იუსტიციის სამინისტრომ დაასრულა შემოწმების მიზნით პატიმრების გაშიშვლების პრაქტიკა“,* 13.06.2025, იხ. ბმული; სოციალური სამართლიანობის ცენტრი, განცხადებების ველი, *„დაკავებული პირების გაშიშვლების პრაქტიკა ქართული ოცნების მიერ პოლიტპატიმრების დეჰუმანიზების იარაღი გახდა“,* 02.10.2025, იხ. ბმული; „პუბლიკა“, *„გურამ ქუხილავა: 75 წლის კაცს ისეთი შეურაცხყოფა მომაყენეს… დამათვალიერეს, გამაშიშვლეს. პოლიცია პოლიციას არ ჰგავდა“,* 04.11.2025, იხ. ბმული [04.11.2025].

[15] „ნეტგაზეთი“, *„რატომ არ არის მეგი დიასამიძის ქმედება „არც დანაშაული და არც სამართალდარღვევა“ – ქურდოვანიძის განმარტება“,* 11.09.2025, იხ. ბმული ; „რადიო თავისუფლება“, *„ქალს, რომელიც პოლიციის მანქანაზე ავიდა, პროკურატურამ ბრალი დაუმძიმა“,* 24.10.2025, იხ. ბმული [21.10.2025].

[16] მედიის ინსტიტუტი (2025), *„პროტესტის მონაწილეთა წინააღმდეგ განხორციელებული დევნა (საკანონმდებლო ცვლილებები და არსებული პრაქტიკა)“,* გვ. 6; იხ. ბმული [21.10.2025].

[17] **გამონაკლისს წარმოადგენს** *ორსული ქალის, 12 წლამდე ასაკის ბავშვის მშობლის (დედის), 18 წლის ასაკს მიუღწეველის, მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის შემთხვევა,* როდესაც სახდელის ზომად ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 32-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, დაუშვებელია.

[18] საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, საქართველოს კანონი *„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“,* 16.10.2025, იხ. ბმული [22.10.2025].

[19] „რადიო თავისუფლება“, *„პატიმრობით ისჯება აქციაზე ნიღაბი, გზის გადაკეტვა, პიროტექნიკის ქონა - „ოცნებამ“ კანონპროექტი მიიღო“,* 16.10.2025, იხ. ბმული [22.10.2025].

[20] „TV პირველი“, *„მოქალაქეებმა რუსთაველის გაშზირი ისევ გადაკეტეს“,* იხ. ბმული; *„პოლიცია აქციის მონაწილეებს აჯარიმებს“,* 18.10.2025, იხ. ბმული [22.10.2025].

ადმინისტრაციული პატიმრობა შეეფარდა.[21] აფხაზეთიდან დევნილ *71 წლის აზა ჩილაჩავას* 19 ოქტომბერს აქციაზე სამედიცინო პირბადის ტარების გამო პოლიციამ სამართალდარღვევის ოქმი შეუდგინა, სასამართლომ კი მის მიმართ სახდელის ზომად სიტყვიერი გაფრთხილება გამოიყენა. მოგვიანებით, 2 ნოემბერს, პირბადის ტარებისა და „გზის სავალ ნაწილზე დგომისთვის“ *აზა ჩილაჩავა* დააკავეს და 1-დღიანი პატიმრობა შეუფარდეს.[22]

2025 წლის 20-21 ოქტომბერს ზემოგანხილული უსამართლო საფუძვლებით ადმინისტრაციული წესით აქციის 14 მონაწილე დააკავეს, შემდეგ - კიდევ 12.[23] შსს-ს განცხადებით 3 დღეში *(23-25 ოქტომბერს)* სახის დაფარვის ან/და გზის გადაკეტვის საფუძვლით აქციის 60 მონაწილე დააკავეს, 27-31 ოქტომბრის ჩათვლით კი - 29; 20-25 ოქტომბრის კვირის განმავლობაში **დაკავებულთა რაოდენობა საერთო ჯამში 80-ს გასცდა.**[24]

2025 წლის 31 ოქტომბერს „გზის ხელოვნურად გადაკეტვის“ ფორმალური საფუძვლით სისხლის სამართლის წესით დააკავეს აქტივისტი *ზურაბ მენთეშაშვილი,* რომელიც ერთხელ უკვე იყო დაკავებული და, შესაბამისად, მას 1 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.[25] “გზის უკანონო გადაკეტვისა“ და სახის დაფარვის საფუძვლით დემონსტრანტების დაკავება და მათ მიმართ ადმინისტრაციული პატიმრობის გამოყენება **დღემდე მასობრივად გრძელდება.**[26] ნიშანდობილივია, რომ „ქართული ოცნება“ ადმინისტრაციულ

---

[21] „პუბლიკა“, *„18 ოქტომბერს რუსთაველზე გამართულ აქციასთან დაკავშირებით დაკავებული 14 პირიდან ნაწილს პატიმრობა შეეფარდა“,* 20.10.2025, იხ. ბმული [22.10.2025].

[22] „რადიო თავისუფლება“, *„აქციაზე პირბადით ყოფნის გამო მოსამართლემ 71 წლის აზა ჩილაჩავა სამართალდამრღვევად ცნო“,* 22.10.2025, იხ. ბმული; *„1-დღიანი პატიმრობა შეუფარდეს 71 წლის აზა ჩილაჩავას“,* 03.11.2025, იხ. ბმული [03.11.2025].

[23] „პუბლიკა“, *„შსს-ს ცნობით, ბოლო ორ დღეში ადმინისტრაციული წესით 14 ადამიანია დაკავებული“,* 21.10.2025, იხ. ბმული; *„შსს-ს ცნობით, ბოლო 24 საათის განმავლობაში, შეკრება-მანიფესტაციის ჩატარების წესის დარღვევისთვის კიდევ 12 პირი დაკავეს“,* იხ. ბმული; *„სასამართლომ სამართალდამრღვევად ცნო რუსთაველზე მიმდინარე აქციის კიდევ 8 მონაწილე“,* 22.10.2025, იხ. ბმული [23.10.2025].

[24] „პუბლიკა“, *„შსს: ბოლო 3 დღეში ადმინისტრაციული წესით აქციის 60 მონაწილე დავაკავეთ“,* 26.10.2025, იხ. ბმული; „რადიო თავისუფლება“, *„5 დღეში პოლიციამ 29 დემონსტრანტი დაკავა „გზის უკანონოდ გადაკეტვის“ საფუძვლით“,* 01.11.2025, იხ. ბმული; „ფორმულა“, სოციალური ქსელის „ფეისბუქის“ გვერდი, *„ქართული ოცნების“ რეპრესიული კანონების ამოქმედების შემდეგ, გზის გადაკეტვის და პირბადის ტარების საბაბით, ამ კვირაში 80-ზე მეტი ადამიანია დაკავებული“,* 25.10.2025, იხ. ბმული [02.11.2025].

[25] „რადიო თავისუფლება“, *„დღევანდელი აქციის შემდეგ ორი დემონსტრანტი დაკავეს“,* 31.10.2025, იხ. ბმული [03.11.2025].

[26] „რადიო თავისუფლება“, *„გზის გადაკეტვის საბაბით დაკავებულ სამ დემონსტრანტს პატიმრობა შეუფარდეს“,* 02.11.2025, იხ. ბმული; *„ძმის მსგავსად, 8-დღიანი პატიმრობა შეუფარდეს გიგა წიბახაშვილს“,* 03.11.2025, იხ. ბმული; *„მასწავლებელ მანანა ჯავაშვილს ერთდღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდეს“,* 03.11.2025, იხ. ბმული; „TV პირველი“, *„სასამართლომ ეკა ჯავაშვილი 5 000 ლარით დააჯარიმა“,* 03.11.2025, იხ. ბმული; „ნეტგაზეთი“, *„რუსთაველზე გრძელდება მოქალაქეების დაკავება გზის უკანონო გადაკეტვის საფუძვლით“,* 04.11.2025, იხ. ბმული; „TV პირველი“, *„მოსამართლე თორნიკე ქოჩქიანმა 70 წლის ვაჟა ბერიშვილი ერთი დღით პატიმრობაში გაუშვა“,* 05.11.2025, იხ. ბმული; *„ჰოეტ პაატა შამუგიას 5-დღიანი პატიმრობა შეუფარდეს“,* 05.11.2025, იხ. ბმული; „რადიო თავისუფლება“, *„ჟურნალისტ ლეილა ცომაიას ერთდღიანი პატიმრობა შეეფარდა“,* იხ. ბმული; *„ფილოლოგს, მკვლევარ რუსუდან კობახიძეს ერთდღიანი პატიმრობა შეეფარდა“,*

სამართალდარღვევად და სახის დაფარვად *თავზე გაკეთებული პირბადის ტარებასაც* აკვალიფიცირებს.[27]

„ქართული ოცნების“ მიერ მიღებულმა რეპრესიულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა და მათმა აღსრულებამ შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების უფლება **2025 წლის 6 ნოემბერს** ფაქტობრივად აკრძალა - რუსთაველის გამზირის გადაკეტვის 344-ე დღეს პოლიციელებმა პარლამენტის წინ შეკრებილ დემონსტრანტებს არ მისცეს გზის სავალი ნაწილის დაკავების საშუალება.[28]

მედიისა და ჟურნალისტების მიმართ განხორციელებული უფლებადარღვევები

მიმდინარე პროტესტის ფარგლებში დევნის ობიექტებს *მედიაორგანიზაციები* და *ჟურნალისტებიც* წარმოადგენენ. **2024 წლის ოქტომბრიდან 2025 წლის ოქტომბრამდე** ჟურნალისტების, მედიასაშუალებებისა და მედიის უფლებებზე მომუშავე სამოქალაქო ორგანიზაციების წინააღმდეგ მომხდარი **434 ინციდენტი** აღირიცხა, უშუალოდ პროტესტის გაშუქებისას 2024 წლის 28 ნოემბრიდან 2025 წლის 1 ოქტომბრამდე კი **მედიის 181 წარმომადგენელი** დაზარალდა. [29] უფლებადარღვევის 434 ინციდენტიდან 82 შემთხვევა ჟურნალისტების მიმართ განხორციელებულ *ფიზიკურ ძალადობას* მოიცავს, 40 კი - საპროტესტო აქციების ფარგლებში ე.წ. „წიწაკის სპრეის“, წყლის ჭავლისა და ცრემლსადენი გაზის კაფსულების არაპროპორციული, უკანონო და მათ შორის *დამიზნებით გამოყენების შედეგად მიყენებულ დაზიანებას*.

პროფესიული საქმიანობის განხორციელებაში ჟურნალისტებს ხელი შეუშალეს როგორც **2025 წლის 4 ოქტომბრის** „თვითმმართველობის არჩევნებზე“, ასევე პარალელურად მიმდინარე საპროტესტო აქციის

06.11.2025, იხ. ბმული; „რადიო თავისუფლება“, *„აქტივისტ ბაია მარგიშვილს 14-დღიანი პატიმრობა შეეფარდა“*, 07.11.2025, იხ. ბმული [08.11.2025].

[27] „TV პირველი“, *„აქტივისტი თავზე გაკეთებული პირბადის გამო 5 ათასი ლარით დააჯარიმეს“*, 25.10.2025, იხ. ბმული [03.11.2025].

[28] „რადიო თავისუფლება“, *„პოლიციამ რუსთაველზე მომიტინგეებს გზა არ გადააკეტვინა - გაიმართა მსვლელობა მთავრობის ადმინისტრაციისკენ“*, 06.11.2025, იხ. ბმული [06.11.2025].

[29] მედიის, ინფორმაციისა და სოციალური კვლევების ცენტრი (CMIS), *„საქართველოში დამოუკიდებელი მედიის წარმომადგენლების უფლებების დარღვევის შემთხვევები 2024 წლის ოქტომბრიდან 2025 წლის ოქტომბრამდე“*, 01.10.2025, იხ. ბმული [26.10.2025].

გაშუქებისას.[30] ნიშანდობლივია, რომ მედიის წარმომადგენლები ფიზიკური/ სიტყვიერი შეურაცხყოფისა და მუქარის ობიექტები თბილისის საქალაქო სასამართლოს **მანდატურის სამსახურის თანამშრომლებისგანაც** ხდებიან.[31]

პროფესიული მოვალეობის შესრულებისას **„გზის ხელოვნურად გადაკეტვის“** საფუძვლით დაჯარიმება მედიის წარმომადგენელთა მასობრივი დევნის მექანიზმად 2025 წლის იანვრიდან იქცა.[32] „ქართულმა ოცნებამ“ ჟურნალისტების წინააღმდეგ „ტრანსპორტის სავალი ნაწილის ხელოვნურად გადაკეტვის“ სამართალდარღვევის გამოყენება იმ დროსაც განაგრძო, როდესაც აღნიშნული ქმედების ჩადენისთვის უალტერნატივო სახდელის ზომად **15 დღემდე ადმინისტრაციული პატიმრობა** განისაზღვრა. 2025 წლის 18 ოქტომბრიდან 2025 წლის 5 ნოემბრის ჩათვლით „გზის ხელოვნურად გადაკეტვის“ უსამართლო საფუძვლით **მედიის 14 წარმომადგენელი დააკავეს,** რომელთაგან 10-ს ადმინისტაციული პატიმრობა შეეფარდა, ერთ მათგანს - 5 000 ლარიანი ჯარიმა, 3 ჟურნალისტი კი დაკავებიდან მალევე გაათავისუფლეს.[33] აღსანიშნავია, რომ მიმდინარე პროტესტის ფარგლებშიც „ქართული ოცნება“ მედიის წარმომადგენლებს **სხვა დაუსაბუთებელი საფუძვლებითაც** აკავებს.[34]

პარტია „ქართული ოცნება“ დამოუკიდებელ მედიაორგანიზაციებს სარედაქციო პოლიტიკაში ჩარევითა და *ცენზურის/თვითცენზურის* დაწესებითაც ებრძვის - კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ კრიტიკულად განწყობილი ტელეკომპანიების წინააღმდეგ დაიწყო „მაუწყებლობის შესახებ“ კანონში შესული იმ რეპრესიული ცვლილების ამოქმედება, რომელიც მაუწყებელს

---

[30] მედიის, ინფორმაციისა და სოციალური კვლევების ცენტრი (CMIS), *„ჟურნალისტების მუშაობაში ხელშეშლის, მუქარისა და ფიზიკური დაპირისპირების შემთხვევები 4 ოქტომბრის არჩევნებზე“*, 05.10.2025, იხ. ბმული; *„მედიის წარმომადგენლებისთვის მუშაობაში ხელშეშლის, ძალადობისა და ტექნიკის დაზიანების შემთხვევები 4 ოქტომბრის აქციაზე“*, 05.10.2025, იხ. ბმული; „რადიო თავისუფლება“, სოციალურ ქსელ „ფეიქბუქის“ გვერდი, *„რადიო თავისუფლების ჟურნალისტს გიორგი დიასამიძეს ჰოლიციამ ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა“*, 04.10.2025, იხ. ბმული [27.10.2025].

[31] საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, *„საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია სასტიკად გმობს თბილისის საქალაქო სასამართლოს მანდატურების განგრძობით ძალადობას ჟურნალისტებზე“*, 02.10.2025, იხ. ბმული; „ნეტგაზეთი“, *„ჟურნალისტების უსაფრთხოების პლატფორმამ მანდატურების მიერ თავდასხმაზე განგაშის სიგნალი ჩართო“*, 06.10.2025, იხ. ბმული [27.10.2025].

[32] მედიის ინსტიტუტი (2025), *„მედიისა და ჟურნალისტების წინააღმდეგ განხორციელებული დევნა (საკანონმდებლო ცვლილებები და არსებული პრაქტიკა)“*, გვ. 5 და 8; იხ. ბმული [27.10.2025].

[33] მედიის, ინფორმაციისა და სოციალური კვლევების ცენტრი (CMIS), *„შემზღუდავი კანონმდებლობის საფუძველზე მედიის წარმომადგენლები დააკავეს“*, 28.10.2025, იხ. ბმული [30.10.2025].

[34] „რადიო თავისუფლება“, *„სასამართლომ „ტვ პირველის“ ოპერატორი 2500 ლარით დააჯარიმა“*, 20.02.2025, იხ. ბმული; „პუბლიკა“, *„მოსამართლე ზვიად ცეკვავამ ჟურნალისტი საბა სორდია 2500 ლარით დააჯარიმა“*, 17.04.2025, იხ. ბმული; მედიის ინსტიტუტი (2025), *„მედიისა და ჟურნალისტების წინააღმდეგ განხორციელებული დევნა (საკანონმდებლო ცვლილებები და არსებული პრაქტიკა)“*, გვ. 8-9, იხ. ბმული [27.10.2025].

უცხოური ძალისგან პირდაპირ ან ირიბად დაფინანსების მიღებას უკრძალავს.[35]

„ქართული ოცნება“ მედიაორგანიზაციებს სხვა რეპრესიული საკანონმდებლო ცვლილებებითაც დევნის - „ანტიკორუფციული ბიუროს უფროსმა“ რაჟდენ კუპრაშვილმა დამოუკიდებელი გამომძიებელი ჟურნალისტების გაერთიანებებს *„iFact-სა“* და *„GMC-ის“* მიმართა და **„გრანტების შესახებ“** კანონში შესული ცვლილებების საფუძველზე გრანტების, დონორების, ფინანსური ოპერაციებისა და ხელშეკრულებების შესახებ ინფორმაციის წარდგენა მოსთხოვა. აღნიშნული წერილი ასევე მიიღო გამოცემა *„მთის ამბებმა“*, *„მთის თემმა“*, *„პროექტი 64-მა“* და *საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიამ*.[36]

მედიის კრიტიკულად განწყობილი წარმომადგენლების დევნის ინსტრუმენტად ასევე იქცა **სამსახურიდან გათავისუფლება** და ფსევდოდისციპლინური მოკვლევის საფუძველზე პასუხისმგებლობის სხვა ზომების გამოყენება.[37] „ქართული ოცნება“ მედიის წარმომადგენელთა წინააღმდეგ ახალ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას - პოლიტიკური თანამდებობის პირების **„სიტყვიერ შეურაცხყოფასაც“** იყენებს.[38]

ნიშანდობლივია, რომ 2025 წლის 27 ივნისიდან ჟურნალისტებსაც **აეკრძალათ სასამართლოს შენობაში,** სხდომის დარბაზებსა თუ ეზოში ფოტო-ვიდეოგადაღება, აუდიოჩაწერა და ტრანსლაცია, რამაც *მართლმსაჯულება მედიისთვის და, შესაბამისად, საზოგადოებისთვისაც* დაზურა.

---

[35] კომუნიკაციების ეროვნული კომისია, *„ComCom-მა „ფორმულა“, „ფორმულა მულტიმედია“ და რადიოები გაფრთხილა და უცხოური ძალისგან დაფინანსების შეწყვეტა დაავალა“*, 09.10.2025, იხ. ბმული [28.10.2025].
[36] მედიის, ინფორმაციისა და სოციალური კვლევების ცენტრი (CMIS), *„რეპრესიული კანონების აღსრულების მიზნით, ანტიკორუფციული ბიურო მედიებისგან ინფორმაციას ითხოვს“*, 29.09.2025, იხ. ბმული [29.10.2025].
[37] მედიის, ინფორმაციისა და სოციალური კვლევების ცენტრი (CMIS), *„საქართველოში დამოუკიდებელი მედიის წარმომადგენლების უფლებების დარღვევის შემთხვევები 2024 წლის ოქტომბრიდან 2025 წლის ოქტომბრამდე“*, 01.10.2025, იხ. ბმული; მედიის ინსტიტუტი (2025), *„მედიისა და ჟურნალისტების წინააღმდეგ განხორციელებული დევნა (საკანონმდებლო ცვლილებები და არსებული პრაქტიკა)“*, გვ. 10-11, იხ. ბმული [27.10.2025].
[38] Council of Europe - Safety of journalists platform, *“Six Georgian Journalists Facing Fines Over Social Media Posts“*, 19.06.2025, იხ. ბმული [28.10.2025].

სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიმართ განხორციელებული უფლებადარღვევები

პარტია „ქართული ოცნების“ სამიზნეს *სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები* და *ადამიანის უფლებადამცველები* ყოველთვის წარმოადგენდნენ, თუმცა ისინი დევნის განსაკუთრებულ ობიექტებად 2023 წელს „რუსული კანონის“ მიღების მცდელობისა და 2024 წელს აღნიშნული კანონის მიღების პერიოდში გახდნენ. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ **2024 წელს „რუსული კანონის“** მიღებას თან ახლდა ადამიანის უფლებადამცველებისა და სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მათი წარმომადგენლების წინააღმდეგ *მადისკრედიტირებელი კამპანიის წარმოება*, *სატელეფონო მუქარები,* ფიზიკური ძალადობა, *კერძო საკუთრების დაზიანება*.[39]

2024 წლის 28 ნოემბრიდან დაწყებული აქციების ფარგლებში სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები <u>მიზანმიმართული ფიზიკური ძალადობის</u>, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლებიც გახდნენ. [40] ნიშანდობლივია, რომ პროტესტის ფარგლებში სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების დევნა *დეზინფორმაციული* და *მადისკრედიტირებელი კამპანიის* წარმოებითაც ხორციელდება.[41]

2025 წლის 8 თებერვალს საქართველოს პროკურატურამ მოძრაობა „ერთიანი ნეიტრალური საქართველოს“ განცხადების საფუძველზე გამოძიება დაიწყო, რომლის ფარგლებშიც 2025 წლის 17 მარტს საქველმოქმედო ფონდებისა და სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების **საბანკო ანგარიშები დაყადაღდა.** 2025 წლის 29 აპრილს აღნიშნული გამოძიების ფარგლებში ორგანიზაციების წარმომადგენელთა ბინებში/ოფისებში **ჩხრეკისა**

---

[39] International Federation for Human Rights (FIDH), Statement, *“Georgia : Serious deterioration of the situation of human rights defenders“*, 26.06.2024; იხ. <u>ბმული;</u> „რადიო თავისუფლება“, *„შეიძლება ფიზიკურადაც გაგვისწორდნენ“ - არასამთავრობოების ოფისებზე ისევ გაჩნდა მუქარის წარწერები”*, 31.05.2024; იხ. <u>ბმული</u> [30.10.2025].

[40] *„პუბლიკა“, „ISFED: მკვლევარ შოთა ნარსიას სცემეს და დაკავეს, მოვითხოვთ დაუყოვნებლივ გათავისუფლებას”*, 01.12.2024; იხ. <u>ბმული;</u> „რადიო თავისუფლება“, *„გაისროლეს ტყვია და თვალთან მომარტყეს“, - იურისტი სბა ბრაჭველი აქციაზე დაშავდა“*, 29.11.2024; იხ. <u>ბმული</u> [30.10.2025].

[41] Imedinews.ge, *ლევან მაჭავარიანის განცხადება,* 27.08.2025, იხ. <u>ბმული</u>; Imedinews.ge, *შალვა პაპუაშვილის განცხადება,* 03.02.2025, იხ. <u>ბმული</u>; 24.02.2025, იხ. <u>ბმული</u>; 14.04.2025, იხ. <u>ბმული</u>; იხ. <u>ბმული</u>; *კახა კალაძის განცხადება,* 08.04.2025, იხ. <u>ბმული</u>; 01.10.2025, იხ. <u>ბმული</u>; *ირაკლი ზარქუას განცხადება,* 20.06.2025, იხ. <u>ბმული</u> [31.10.2025].

და ამოღების თვითნებური საგამოძიებო მოქმედებები არაერთი პროცედურული ნორმის დარღვევით ჩატარდა.[42]

ნიშანდობლივია, რომ „ქართულმა ოცნებამ“ მიღებული „რუსული კანონებიდან“ ჯერჯერობით მხოლოდ „FARA-ს“ და „გრანტების შესახებ“ კანონში შესული ცვლილებების აღსრულება დაიწყო - 2025 წლის 18-19 ივნისს რაჟდენ კუპრაშვილმა შუამდგომლობის საშუალებით მიღებული სასამართლო განჩინებით **7 სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციისგან** [43] „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის, „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის“ შესახებ კანონითა და „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების“ შესახებ კანონის საფუძველზე *სამართლებრივი, პერსონალური, ფინანსური და ტექნიკური ინფორმაციის* წარდგენა მოითხოვა. 2025 წლის 30 სექტემბრის მონაცემებით, საერთო ჯამში 60-ამდე სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციას და მედია ორგანიზაციას დაეკისრა ანტიკორუფციული ბიუროსთვის მიღებული გრანტების შესახებ ინფორმაციის წარდგენის ვალდებულება.[44]

2025 წლის 15 აგვისტოს რაჟდენ კუპრაშვილმა **„FARA-ს“ აღსრულებაც** დაიწყო - ექვსმა სამოქალაქო საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ [45] მიიღო წერილი, რომელშიც ანტიკორუფციული ბიურო „FARA-ს“ კანონის დარღვევას ედავებოდა მათ და განმარტებებს სთხოვდა „აგენტების რეესტრში“ დაურეგისტრირებლობის შესახებ.[46]

2025 წლის 27 აგვისტოს **7 სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციის**[47] საბანკო ანგარიშები ე.წ. „პირბადეების“ საქმის - 2025 წლის 8 თებერვალს

---

[42] International Federation for Human Rights, *„Georgia: Judicial harassment and home searches targeting human rights defenders and activists“*, 02.05.2025, იხ. ბმული; მედიის ინსტიტუტი (2025), *„ადამიანის უფლებათა დამცველების წინააღმდეგ თვითნებური საგამოძიებო მოქმედებებით განხორციელებული დევნა“*, გვ. 3-4. იხ. ბმული [30.10.2025].

[43] *„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, „საფარი“, „სამოქალაქო საზოგადოების ფონდი“, „ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი“, „საქართველოს მომავლის აკადემია“, „მედიის განვითარების ფონდი“ და „სოციალური სამართლიანობის ცენტრი“.*

[44] Organized Crime and Corruption Reporting Project (OCCRP), *„Georgia Targets Media and NGOs With Donor Disclosure Demands“*, 30.09.2025, იხ. ბმული [31.10.2025].

[45] „საფარი“, „სამოქალაქო საზოგადოების ფონდი“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, „მედიის განვითარების ფონდი“, „სოციალური სამართლიანობის ცენტრი“, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED)“.

[46] „რადიო თავისუფლება“, *„ანტიკორუფციულმა ბიურომ არასამთავრობო ორგანიზაციებს კვლავ გაუგზავნა წერილი“*, 15.08.2025, იხ. ბმული; „ნეტგაზეთი“, *„ევროსაბჭოს „ჟურნალისტების უსაფრთხოების პლატფორმამ“ 6 ქართულ ორგანიზაციაზე განგაშის სიგნალი ჩართო“*, 20.08.2025, იხ. ბმული [31.10.2025].

[47] „სამოქალაქო საზოგადოების ფონდი“, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ (ISFED), „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ (IDFI), „დემოკრატიის მცველები“, „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“ (GDI), „საფარი“, „სოციალური სამართლიანობის ცენტრი“.

საბოტაჟის ბრალდებით დაწყებული გამოძიების - ფარგლებში **დააყადაღეს**.[48] მითითებული „გამოძიების“ ფარგლებში პროკურატურამ სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების *ხელმძღვანელი პირები გამოკითხვაზე დაიბარა*. ისინი მაგისტრატი მოსამართლის წინაშე გამოიკითხნენ.[49]

საყურადღებოა, რომ „ქართული ოცნება“ სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების დევნისთვის ერთდროულად რამდენიმე რეპრესიულ მექანიზმს იყენებს და, შესაბამისად, ყველანაირი გზით ცდილობს ორგანიზაციების ფუნქციონირების შეწყვეტას.

საჯარო სექტორში დასაქმებულთა მიმართ განხორციელებული უფლებადარღვევები

2024 წლის 28 ნოემბრიდან დაწყებულმა საპროტესტო ტალღამ *საჯარო სექტორში დასაქმებული პირებიც* მოიცვა. საჯარო სექტორში დასაქმებულთა აზრით, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების უფლებით სარგებლობა გახდა მათი საჯარო სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველი. 2025 წლის მაისამდე არსებული მონაცემებით, 2024 წლის 28 ნოემბრიდან **800-ზე მეტი ადამიანი** გაათავისუფლეს[50] საჯარო დაწესებულებებიდან.

მასშტაბურ გათავისუფლებებს წინ უძღოდა „ქართული ოცნების“ მიერ 2024 წლის დეკემბერში „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში *რეპრესიული ცვლილებების დაინიცირება.* [51] 2025 წლის იანვარში ცვლილება

---

[48] „რადიო თავისუფლება“, *„შვიდი სამოქალაქო ორგანიზაციის საბანკო ანგარიშებს ყადაღა დაადეს“*, 27.08.2025, იხ. ბმული; *„ბინტი, სპირტი, საწვიმრები, პირბადეები, რესპირატორები - რის გამო დააყადაღეს არასამთავრობოების ანგარიშები“*, 28.08.2025, იხ. ბმული [01.11.2025].

[49] „ჰუბლიკა“, *„პროკურატურის ცნობით, „პირბადეების საქმეზე“ გამოკითხვის მიზნით NGO-ების ხელმძღვანელები დაიბარეს“*, 01.09.2025, იხ. ბმული; *„ესაა მორიგი ნაბიჯი იმისთვის, რომ სამოქალაქო ორგანიზაციები აღარ იყვნენ საქართველოში“ - ნატროშვილი „პირბადეების საქმეზე“*, 08.09.2025, იხ. ბმული; *„ეს არის რუსეთის სცენარით დაწერილი პროცესი“ - „პირბადეების საქმეზე“ ალეკო ცქიტიშვილი გამოიკითხა“*, 11.09.2025, იხ. ბმული; *„ლელა ციკარიშვილი მაგისტრატი მოსამართლის წინაშე „პირბადეების საქმეზე" გამოიკითხა“*, 17.09.2025, იხ. ბმული [01.11.2025].

[50] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (2025), *„საჯარო სამსახურის „რეფორმის“ დამანგრეველი ეფექტი“*, გვ. 15, იხ. ბმული [31.10.2025].

[51] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია), სიახლეების ველი, *„საჯარო სამსახურის შესახებ კანონში დაჩქარებული წესით შეტანილი ცვლილებები მოხელეებზე ზეწოლის გაზრდას და საჯარო სამსახურის კიდევ უფრო პოლიტიზირებას ემსახურება“*, 16.12.2024, იხ. ბმული; სოციალური სამართლიანობის ცენტრი, შეფასება, *„საჯარო სამსახურის პოლიტიზირება და მოხელეების შრომითი გარანტიების დრამატული დასუსტება საგანგაშოა - საჯარო სამსახურის შესახებ კანონში გატარებული ცვლილებების კრიტიკული ანალიზი“*, 16.01.2025, იხ. ბმული [31.10.2025].

შევიდა დიპლომატიური სამსახურის გავლის წესშიც.[52] „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში 2025 წლის აპრილში შესული ცვლილების თანახმად, საჯარო მოსამსახურეს ანაზღაურებადი *სამეცნიერო, პედაგოგიური, შემოქმედებითი საქმიანობის* განხორციელება მხოლოდ შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ერთჯერადად, **არა უმეტეს 1 წლის ვადით გაცემული წერილობითი თანხმობის** საფუძველზე შეუძლია.[53] 2025 წლის 29 ოქტომბერს „ქართულმა ოცნებამ“ კიდევ უფრო მეტად შეასუსტა საჯარო მოსამსახურეების შრომითი უფლებები - საჯარო სექტორში დასაქმებულებს იმავე საჯარო დაწესებულების სისტემაში **შეთავსებითი ანაზღაურებადი საქმიანობაც აუკრძალა.**[54]

2024 წლის 28 ნოემბრიდან დაწყებული პროტესტის ფარგლებში **საჯარო დაწესებულებებში დასაქმებული პირების გათავისუფლების** მექანიზმებად გამოყენებული იყო როგორც *შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის/არგაგრძელების*, ასევე დაწესებულების *რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის, ადმინისტრაციულ ხელშეკრულებაზე* პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელისა და მისი მოადგილის გადაყვანისა და, შესაბამისად, მათთან დადებული ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები.[55] სამსახურებიდან გათავისუფლების გარდა, საჯარო სექტორში დასაქმებულთა წინააღმდეგ **განხორციელებული უფლებადარღვევები** ასევე მოიცავდა დისკრიმინაციული მოპყრობის სხვადასხვა ფორმას - ფულადი ჯილდოს გაუცემლობას, აქტივობებში, მათ შორის სამსახურებრივ მივლინებებში, მონაწილეობის მიღების უფლების შეზღუდვას, მათთან კომუნიკაციისგან თავის შეკავებას, მტრული სამუშაო გარემოს შექმნას და სხვ.[56]

2025 წლის აგვისტოს მონაცემებით, საჯარო მოსამსახურეთა დამოუკიდებელი პროფესიული კავშირი **„კონსტიტუციის 78-ე მუხლი“**, რომელიც საჯარო მოსამსახურეთა უფლებების დაცვისა და სოციალური

---

[52] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (2025), *„საჯარო სამსახურის „რეფორმის“ დამანგრეველი ეფექტი“*, გვ. 12-14, იხ. ბმული [31.10.2025].

[53] საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, საქართველოს კანონი *„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე*, 04.04.2025, იხ. ბმული [31.10.2025].

[54] „რადიო თავისუფლება“, *„საჯარო მოხელე ვარ, შეძიძლია მეორე სამსახურიც მქონდეს?“*, 03.11.2025, იხ. ბმული; საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, საქართველოს მთავრობის №482 დადგენილება *„იმ საქმიანობების/ფუნქციების განსაზღვრის შესახებ, რომელთა განმახორციელებელ/შემსრულებელ პირებსაც უფლება აქვთ, შეთავსებით შეასრულონ ანაზღაურებადი სამუშაო საჯარო სამსახურში, აგრეთვე იმავე დაწესებულებაში ან/და სხვა საჯარო დაწესებულებებში“* , 29.10.2025, იხ. ბმული [04.11.2025].

[55] მედიის ინსტიტუტი (2025), *„საჯარო სექტორში დასაქმებულთა წინააღმდეგ განხორციელებული დევნა“*, გვ. 10, იხ. ბმული [31.10.2025].

[56] მედიის ინსტიტუტი (2025), *„საჯარო სექტორში დასაქმებულთა წინააღმდეგ განხორციელებული დევნა“*, გვ. 10, იხ. ბმული [31.10.2025]. [02.11.2025].

გარანტიების უზრუნველყოფის მიზნით შეიქმნა, საერთო სასამართლოებში საჯარო მოსამსახურეების 220 საქმეს აწარმოებს.[57]

საყურადღებოა, რომ 2025 წლის 24 ოქტომბერს ირაკლი კობახიძემ **სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრის** ლიკვიდაციის განკარგულება გამოსცა - ცენტრი 2026 წლის 1 იანვრიდან გაუქმდება. [58] სავარაუდოა, რომ ცენტრის ლიკვიდაცია *ევროპული და ევროატლანტიკური კურსის ცვლილებას* უკავშირდება. ზემოაღნიშნულთან ერთად ასევე საგანგაშოა „ქართული ოცნების“ მიერ დაანონსებული **განათლების „რეფორმაც“.** სფეროს ექსპერტების განმარტებით, მითითებული „რეფორმა“ *ევროპული საგანმა-ნათლებლო სისტემისგან საქართველოს იზოლაციისა* და აკადემიური თავისუფლების ხელყოფის საფრთხეს ქმნის.[59]

პროტესტში ჩართულ პირებთან ჩატარებული ინტერვიუები - ძირითადი ტენდენციები და მიგნებები

2025 წლის ივნისიდან 2025 წლის ოქტომბრის ჩათვლით *მედიის ინსტიტუტმა* ჩაატარა ინტერვიუები *აქციის მონაწილეებთან, ჟურნალისტებთან, უფლებადამცველებთან, საჯარო მოსამსახურეებთან* და სხვა იმ პირებთან, რომელთა უფლებებიც 2024 წლის 28 ნოემბრიდან მიმდინარე პროტესტის ფარგლებში სხვადასხვა ფორმით დაირღვა.

ინტერვიუები ჩატარდა **50 რესპონდენტთან**, რომელთაგან 8 სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციაში დასაქმებულ პირს/უფლებადამცველს წარმოადგენს, 10 - საჯარო სექტორიდან გათავისუფლებულ პირს, 7 - ჟურნალისტს/მედიაორგანიზაციის წარმომადგენელს, 25 კი - აქტივისტს, რომელთაგან სამი - 2024 წლის ნოემბერ-დეკემბერში წამების მსხვერპლი იყო.

სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებიდან/ უფლებადამცველებიდან ერთი რესპოდენტი დაექვემდებარა ჩხრეკისა და

---

[57] კონსტიტუციის 78-ე მუხლი • Article 78 of Constitution, სოციალური ქსელი „ფეისბუქი“, ოფიციალური გვერდი, *„პროფესიული კავშირის 220 საქმე სასამართლოში“*, 23.08.2025, იხ. ბმული [02.11.2025].

[58] *„რადიო თავისუფლება“, „კობახიძემ გამოსცა სსიპ „განათლების საერთაშორისო ცენტრის“ ლიკვიდაციის განკარგულება“*, 24.10.2025, იხ. ბმული [02.11.2025].

[59] *„რადიო თავისუფლება“, „ოცნების“ განათლების რეფორმა - ვინ იხეირებს, თქვენი შვილი თუ მმართველი პარტია“*, 17.10.2025, იხ. ბმული [02.11.2025].

ამოღების თვითნებურ საგამოძიებო მოქმედებებს, რომელიც არაერთი პროცედურული ნორმის დარღვევით წარიმართა - რესპონდენტის ოჯახის წევრს *არ მისცეს შესაძლებლობა გადაეღო* საგამოძიებო მოქმედების ამსახველი ვიდეო და საწყის ეტაპზე უზღუდავდნენ მოწმის სახით პირის დასწრებას. საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოხდა რესპონდენტის პირადი ნივთების ამოღებაც, რომლებიც ორგანიზაციის წინააღმდეგ მიმდინარე გამოძიებასთან არ იყო დაკავშირებული. ჩხრეკისა და ამოღების თვითნებური საგამოძიებო მოქმედებები იმავე დარღვევებით წარიმართა *ერთ-ერთი აქტივისტის* სახლშიც. აღნიშნულ რესპონდენტს მათ შორის მოსთხოვეს სრულად გაშიშვლება და გააკეთებინეს ბუქნები, რასაც დამკვიდრებული მავნე პრაქტიკის სახე აქვს დაკავებული/პატიმრობაში მყოფი პირების ჩხრეკისას. ჩხრეკის საბაბით სრულად გაშიშვლებაზე *ასევე მიუთითებდა 3 რესპოდენტი*, რომელთაგან ორი სისხლის სამართლის წესით დააკავეს დეკემბერში და მათ მიმართ გამამართლებელი განაჩენი დადგა.

სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების თანამშრომლები, გარდა მათი ორგანიზაციების წინააღმდეგ მიმდინარე დაუსაბუთებელი მონიტორინგის/გამოძიების წარმოების უფლებადარღვევისა, „გზის ხელოვნურად გადაკეტისთვის“ უკანონოდ დაჯარიმების ობიექტებიც გახდნენ - 8 რესპოდენტიდან სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციის ორი წარმომადგენელი ორჯერ დააჯარიმეს 5 000- 5 000 ლარით, ერთი რესპონდენტი კი - ერთხელ.

საჯარო სექტორიდან გათავისუფლებული პირები, ინტერვიუების ფარგლებში მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, გათავისუფლების შესახებ შეტყობინებას ძირითადად არასამუშაო დღის ან არასამუშაო საათების განმავლობაში იღებდნენ. გათავისუფლებული რესპოდენტებიდან თითოეული სხვადასხვა ფორმით გამოხატავდა *პროტესტს*, მათ შორის სოციალურ ქსელში აქტივობით, ევროინტეგრაციის პროცესის შეჩერების საწინააღმდეგო განცხადებებზე ხელის მოწერით, საპროტესტო გამოსვლებში მონაწილეობით და სხვ. 10 რესპოდენტიდან სამსახურიდან გათავისუფლების სამართლებრივ საფუძვლებად *ადმინისტრაციული ხელშეკრულების* შეწყვეტის მექანიზმი გამოიყენეს 3 დასაქმებულის მიმართ, *შრომითი ხელშეკრულების* შეწყვეტის - 4 მათგანის მიმართ, *რეორგანიზაცის* თვითნებურად განხორციელების ინსტრუმენტი - 2 რესპონდენტის, ხოლო *ლიკვიდაციის* - ასევე ორი რესპოდენტის შემთხვევაში. რესპოდენტების უმრავლესობამ აღნიშნა, რომ საკუთარი პოზიციის საჯაროდ დაფიქსირების შემდეგ მათ მიმართ *შეიცვალა ხელმძღვანელი პირების/თანამშრომლების დამოკიდებულება*, რაც

კომუნიკაციისგან თავის შეკავებაში, მნიშვნელოვან აქტივობებში მონაწილეობის შეზღუდვაში, ფულადი ჯილდოს არგაცემაში და სხვა ფორმებში გამოიხატა. ნიშანდობლივია, რომ ყველა რესპოდენტი თავის გათავისუფლებას პირდაპირ უკავშირებს მათ მიერ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების უფლებით სარგებლობას.

მედიაორგანიზაციების 7 წარმომადგენელთან ჩატარებული ინტერვიუების თანახმად, პროფესიული მოვალეობის შესრულებისას *„გზის ხელოვნურად გადაკეტვის“* უსამართლო საფუძვლით 3 ჟურნალისტი დააჯარიმეს, ერთი მათგანი კი - რამდენჯერმე, მიუხედავად პრესის მაიდენტიფიცირებელი ბარათის, სამკლავურის ტარებისა. საყურადღებოა, რომ ერთი უცხოელ რესპონდენტს არ მისცეს შესაძლებლობა, გადმოეკვეთა საქართველოს ტერიტორიული საზღვარი მანამ, სანამ აღნიშნულ 5 000-ლარიან ჯარიმას არ გადაიხდიდა. ინტერვიუების ფარგლებში მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 3 ჟურნალისტი სხვადასხვა დროს გახდა პროფესიული ნიშნით შსს-ს ქვედანაყოფების ან/და ე.წ. „ტიტუშკების“ მხრიდან *გინების, ღირსებისშემლახავი ფრაზების, მუქარის, ანგარიშსწორების, ფიზიკური ძალადობისა* და *წამებასთან გათანაბრებული მოპყრობის* აღრესატი, მათ შორის ზოგიერთი - რამდენჯერმე. მედიის წარმომადგენლები მიუთითებდნენ მათ მიმართ განხორციელებული დევნის სხვა ფორმებზეც - *სამუწყებლო აპარატურის, ტექნიკის წართმევას/დაკარგვას,* სოციალურ ქსელში განთავსებული პოსტის გამო დაჯარიმებას, მედიაორგანიზაციის საქმიანობის შეზღუდვის სხვაგვარ მცდელობებს.

25 აქტივისტიდან, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ 2024 წლის 28 ნოემბრიდან მიმდინარე საპროტესტო აქციებში, „გზის ხელოვნურად გადაკეტვის“ საფუძვლით 15 დააჯარიმეს. მათგან 4 რესპონდენტს 20-ზე მეტი ჯარიმა აქვს. აღნიშნული ოთხი აქტივისტიდან სამის საბანკო ანგარიშები ჯარიმის გადაუხდელობის საბაბით *დაყადაღებულია*. „გზის უკანონოდ გადაკეტვის“ საფუძვლით დაჯარიმებული პირები მიუთითებდნენ, რომ ისინი უშუალოდ არ მონაწილეობდნენ ტრანსპორტის სავალი ნაწილის *გადაკეტვაში* და მხოლოდ მაშინ გადადიოდნენ მასზე, როდესაც გზა უკვე გადაკეტილი იყო აქციის მონაწილეების ან/და პოლიციის მიერ. შსს და სასამართლო არ ითვალისწინებდა რესპონდენტების ადგილმდებარეობას აქციის მიმდინარეობისას და მათ მაინც აჯარიმებდა სათვალთვალო კამერების გამოყენებით, რომელთა მიერ დამუშავებული ვიდეოები და ფოტოასლები („სქრინები“) უმეტეს შემთხვევაში *ერთადერთ მტკიცებულებას* წარმოადგენდა აქციის მონაწილეების წინააღმდეგ. დაჯარიმებული რესპონდენტების ნაწილი

ასევე აღნიშნავდა, რომ მათ შსს-დან გამოთხოვილი საქმის მასალები დღემდე არ ჩაბარებიათ, ზოგიერთი მათგანი კი მათ სასამართლოს სხდომაზე გაეცნო. 2 რესპონდენტი მიუთითებდა, რომ მათ შესაბამისმა უწყებებმა *არ შეატყობინეს ერთზე მეტი ჯარიმის* არსებობა და აღნიშნულის შესახებ მოგვიანებით, საქმის მასალების ჩაბარების/გასაჩივრების ეტაპზე, გაიგეს. საყურადღებოა, რომ „გზის ხელოვნურად გადაკეტვის" საფუძვლით დაჯარიმებულებიდან ერთის შემთხვევაში ტრანსპორტის სავალი ნაწილის გადაკეტვის საშუალებად *მითითებულია ავტომანქანა,* რომელიც არც კი ჰყავს რესპონდენტს. 25 აქტივისტიდან ერთი რესპონდენტი ასევე მიუთითებდა საპროტესტო აქციებში ჩართულობის მიზეზით - პოლიტიკური ნიშნით/განსხვავებული მოსაზრების ნიშნით - მისი კომპანიის მიმართ განხორციელებულ *დისკრიმინაციულ* მოპყრობაზე.

25 რესპონდენტიდან 3 სხვადასხვა დროს დააჯარიმეს როგორც „გზის ხელოვნურად გადაკეტვის", ასევე სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის საფუძვლით. მხოლოდ *პოლიციელის მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის* საბაბით 3 რესპონდენტი დააკავეს და 2 000-იდან 2 500 ლარამდე დააჯარიმეს. მოცემულ შემთხვევებში „დაუმორჩილებლობა" სხვა აქტივისტების დაკავებაში ხელშეშლაშიც გამოიხატებოდა. რესპონდენტებიდან ორი სოციალურ ქსელში განთავსებული პოსტის/კომენტარის გამო დააჯარიმეს/დააკავეს, ერთი აქტივისტი კი - ნივთის დაზიანების საფუძვლით *(სისხლის სამართლის წესით)*. შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის მიზნით რესპონდენტების წინააღმდეგ ასევე გამოყენებული იყო ე.წ. „სტენსილის" დახატვისა და ფერადი კვამლის გაშვების საბაბით დაჯარიმების მექანიზმიც. ნიშანდობლივია, რომ რამდენიმე აქტივისტი საპროტესტო აქციებში მონაწილეობისას გახდა პოლიციის ან/და ე.წ. „ტიტუშკების" მხრიდან ფიზიკური ძალადობის, მუქარის ობიექტი, რომელ შემთხვევებზეც პასუხისმგებელი არცერთი პირი დღემდე არ არის დაკავებული.

წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის სამ მსხვერპლთან ჩატარებული ინტერვიუების თანახმად, სამივე მათგანი გახდა შავნიღბიანი პირების მხრიდან *(შსს-ს სხვადასხვა ქვედანაყოფი) სასტიკი ცემის, ფიზიკური ძალადობისა და სიტყვიერი შეურაცხყოფის* ობიექტი. ერთ-ერთმა რესპონდენტმა მუშტების სახეში ჩარტყმის შედეგად ყბის ძვლის მოტეხილობა მიიღო. აღნიშნული აქტივისტი ასევე გააკავეს ხელებით და ე.წ. წიწაკის სპრეი 5-10 წამის განმავლობაში მოატარეს მთელ სახეზე. წამების მეორე მსხვერპლი არაადამიანურ მოპყრობას აქციის ორ სხვადასხვა დღეს დაექვემდებარა - მასზე

განხორციელებული ფიზიკური ძალადობის შედეგად რესპონდენტს გაუტყდა ნეკნის ძვალი, მიიღო ტვინის შერყევა, ჩალურჯებები და სისხლნაჟღენთები სხეულის სხვადასხვა არეში, მათ შორის ფეხის თითებსა და ფრჩხილებზე, ვინაიდან მას შსს-ს თანამშრომლები ფეხსაცმელზე ფეხებით ადგებოდნენ. წამების მესამე მსხვერპლს დაზიანებები ძირითადად *თავის არეში ჰქონდა მიყენებული*, ასევე ნაფხაჭნის მაგვარი დაზიანებები და ჩალურჯებები სხეულის სხვა ნაწილებზე. საყურადღებოა, რომ წამების სამივე მსხვერპლი აღნიშნავდა, რომ თავის არეში დაზიანებების მიყენება შსს-ს თანამშრომლებისთვის მიცემულ პირდაპირ ბრძანებას წარმოადგენდა. **სამივე რესპონდენტი** დაექვემდებარა შავნიღბიანების ე.წ. „კორიდორში“ გატარებისას ფიზიკურ/სიტყვიერ შეურაცხყოფასა და ცემას; სამივე მათგანს ედავებოდნენ სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის *კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობას* და *ხულიგნობის* ჩადენას, მიუხედავად იმისა, რომ არცერთ მათგანს არ ჩაუდენია რაიმე სახის სამართალდარღვევა. აღნიშნული საფუძვლებით წამების ორ მსხვერპლს სიტყვიერი გაფრთხილება შეუფარდეს, ერთ აქტივისტს კი - 2 200 ლარიანი ჯარიმა. აღსანიშნავია, რომ წამების *ორ მსხვერპლს* წაართვეს პირადი ნივთები - *„ყველაფერი, რაც კი ღირებული ეჩვენათ“*, რომლებიც აღარ დაუბრუნებიათ მათთვის; ფიზიკურად გაუსწორდნენ მიკროავტობუსში, რომელსაც არ ჰქონდა სკამები. წამების სამი მსხვერპლიდან ორს მიანიჭეს დაზარალებულის სტატუსი, თუმცა *ნახევარ წელიწადზე მეტი დროის გასვლის* შემდეგ, ერთი რესპონდენტის შემთხვევაში კი სტატუსთან დაკავშირებით დღემდე არ არის რაიმე სიახლე. სამი აქტივისტიდან ორს დაკავებისას ძლიერად ჰქონდა მოჭერილი ხელბორკილი/ე.წ. „ხამუთი“. წამების ორი მსხვერპლის შემთხვევაში ფიზიკურ ძალადობას ასევე ახორციელებდნენ მაგარი ხელთათმანებით. ნიშანდობლივია, რომ წამების სამი მსხვერპლიდან ერთი იყო *ჟურნალისტი*, რომელიც, მართალია, დაკავების ღამეს არ ასრულებდა პროფესიულ მოვალეობას, მაგრამ მის მიმართ აგრესიამ და ძალადობამ სწორედ მისი პროფესიის შესახებ ინფორმაციის გაგების შემდეგ იმატა.

ინტერვიუების ფარგლებში **ნარკოდანაშაულის ჩადენის** ბრალდებით სისხლის სამართლის წესით დაკავებულმა ორივე პირმა აღნიშნა, რომ ისინი დაკავების შემდეგ ჩხრეკის მიზნით სრულად გააშიშვლეს და გააკეთებინეს ბუქნები. ამ მეთოდსაც მათი და სხვა პატიმრების წინააღმდეგ სასამართლოში ტრანსპორტირების შემთხვევაშიც იყენებდნენ. გარდა ამისა, ორივე აქტივისტის ბიოლოგიური მასალის აღება ძალის გამოყენებით მოხდა *იღლიიდან/პირიდან*, რათა აღნიშნული მასალა მოეხვედრებინათ იმ ნარკოტიკულ საშუალებაზე, რომელსაც ისინი არ ფლობდნენ. ნიშანდობლივია, რომ ორივე რესპონდენტის

დაკავება მოხდა ძალის გამოყენებით, სიტყვიერი შეურაცხყოფით, რაც ერთი აქტივისტის შემთხვევაში გამოიხატებოდა <u>გინებით, დაცინვით,</u> მიმართვის სხვადასხვა ფორმის („ქათამი“) გამოყენებით. ინტერვიუს ფარგლებში ორივე რესპონდენტმა აღნიშნა, რომ პენიტენციურ დაწესებულებაში *არ იყო შესაბამისი პირობები* - კონდიცირების სისტემა, საკანში ჩამოდიოდა წყალი, საწოლი და მატრასი იყო ძალიან მაგარი, საშხაპე ოთახში სიცივეშიც კი ღია იყო დიდი ფანჯარა, ხშირად უწევდათ ცივი წყლით ბანაობა და სხვ. ორივე აქტივისტის დაკავება არაერთი ნორმის დარღვევით მოხდა, *მაგალითად,* მათ <u>არ მისცეს შესაძლებლობა</u> დაერეკათ ოჯახის წევრებისთვის/ადვოკატისთვის, რაც ერთგვარ მავნე პრაქტიკას სხვა რესპონდენტების შემთხვევაშიც წარმოადგენდა. როგორც ნარკოდანაშაულის ბრალდებით დაკავებული ორივე პირის, ასევე ადმინისტრაციული წესით დაკავებული/დაჯარიმებული რესპონდენტების მიმართ *იყენებდნენ ცრუ მოწმეებს*, რომელთა ჩვენებებსაც სასამართლო უმეტეს შემთხვევაში უტყუარად მიიჩნევდა.

სამართლებრივი ანალიზი

ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების განუხრელი დაცვა *სამართლებრივი* და *დემოკრატიული* სახელმწიფოს ფუნდამენტს წარმოადგენს. თავის მხრივ, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებაა დაიცვას წარუვალი და უზენაესი ადამიანური ღირებულებები, ხოლო ნეგატიური ვალდებულება - თავი შეიკავოს მათი დარღვევისგან ან/და მოახდინოს ეფექტიანი რეაგირება არსებულ უფლებადარღვევებზე.

საქართველოს კონსტიტუცია დაუშვებლად მიიჩნევს *ადამიანის წამებას, არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას*. მიმდინარე საპროტესტო აქციების კონტექსტში დემონსტრანტების მიმართ განხორციელებული ქმედებები - ფიზიკური ძალადობა, წამება, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა *(დაკავებამდე/დაკავების შემდეგ, ჰატიმრობაში)*, მშვიდობიანი შეკრების არაპროპორციული და უკანონო ფორმებით დაშლა, რაც ასევე უთანაბრდება წამებას, კონსტიტუციის მე-9 და მე-10 მუხლებით განმტკიცებული უფლებების მასობრივ დარღვევას წარმოადგენს. რეპრესიული საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე სახის დაფარვის, ლაზერული გამოსხივების მქონე საშუალებისა და პიროტექნიკის ფლობის აკრძალვით აქციის *კანონსაწინააღმდეგოდ კვალიფიცირება*, ასევე *ტრანსპორტის სავალი ნაწილის* გადაკეტისთვის დემონსტრაციის მონაწილეების ადმინისტრაციული წესით დაკავება და აღნიშნული ქმედების კრიმინალიზება <u>უხეშად არღვევს</u> აზრის გამოხატვისა და შეკრების თავისუფლების უფლებას, რომლის თანახმადაც, *„ყველას აქვს წინასწარი ნებართვის გარეშე საჯაროდ და უიარაღოდ შეკრების უფლება“.* [60] კონსტიტუციის მე-17 მუხლით განმტკიცებული აზრისა და გამოხატვის თავისუფლება ასევე ირღვევა *მედიის წარმომადგენლებისთვის*

[60] საქართველოს კონსტიტუცია, 21-ე მუხლის პირველი პუნქტი, იხ. <u>ბმული</u> [07.11.2025].

პროფესიული საქმიანობის განხორციელებაში ხელშეშლით, პოლიტიკური თანამდებობის პირების „შეურაცხყოფისთვის“ პირთა დაჯარიმებით/დაკავებით, კრიტიკულად განწყობილი *საჯარო მოსამსახურეების* სამსახურიდან გათავისუფლებით, რაც განსხვავებული მოსაზრების ან/და სხვა პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციასაც წარმოადგენს.

„ქართული ოცნების“ მიერ პროტესტის ფარგლებში სხვადასხვა ჯგუფის მიმართ განხორციელებული უფლებადარღვევები ასევე ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. **ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის** მე-5 მუხლით გარანტირებული თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება დაუშვებლად მიიჩნევს პირისთვის *თავისუფლების აღკვეთას,* კონვენციით განსაზღვრული შემთხვევების გარდა. ნიშანდობლივია, რომ „ქართული ოცნება“ თავისუფლების აღკვეთას არა სამართალდარღვევის ჩადენაზე რეაგირების ან ჩადენის პრევენციის მიზნით, არამედ პროტესტში ჩართული პირების დევნისთვის, *შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების უფლების ფაქტობრივი აკრძალვისთვის იყენებს*, რითაც ამავდროულად არღვევს უფლებათა შეზღუდვის ფარგლებს.[61] 2024 წლის 28 ნოემბრიდან როგორც ადმინისტრაციული, ასევე სისხლის სამართლის წესით დაკავებული პირების საქმეები და მათ მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი გადაწყვეტილებები/განაჩენები, სხდომის გაშუქების დაუსაბუთებელი აკრძალვა ცხადყოფს, რომ <u>საქმის სამართლიანი განხილვის</u> უფლება, მათ შორის საქვეყნოობის პრინციპი, დამოუკიდებელი და *მიუკერძოებელი სასამართლოს არარსებობის* პირობებში დღემდე მასობრივად ირღვევა.[62]

„სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი“ განამტკიცებს ყველა თავისუფლებააღკვეთილი პირის მიმართ *ჰუმანური მოქცევისა* და მათი პიროვნული ღირსების პატივისცემის უფლებას,[63] რაც მიმდინარე პროტესტის ფარგლებში დაკავებული პირების მიმართ წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის, ფიზიკური ძალადობის განხორციელებით დღემდე ირღვევა. „ქართული ოცნება“ *სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა* და მედიაორგანიზაციების წინააღმდეგ მიღებული რეპრესიული საკანონმდებლო ცვლილებებითა და მათი

---

[61] *„ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია“*, მე-18 მუხლი, იხ. ბმული [07.11.2025].

[62] იქვე, მე-6 მუხლი.

[63] გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაეროს) *„სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი“*, მე-10 მუხლი, პირველი პუნქტი. იხ. ბმული [07.11.2025].

აღსრულებით საერთაშორისო პაქტის 22-ე მუხლით განსაზღვრული სხვებთან *ასოციაციის (გაერთიანების) უფლებით* დაცულ სფეროშიც გაუმართლებლად ერევა. გაერთიანების თავისუფლების უფლების დაცვას ასევე ითვალისწინებს **ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაც.**[64] როგორც ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, ასევე საერთაშორისო დონეზე ადამიანის უფლებათა დაცვის მიზნით მოქმედი ყველა სხვა სამართლებრივი დოკუმენტი განამტკიცებს *წამების, არაადამიანური და დამამცირებელი, ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვის, ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლების, შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების, დისკრიმინაციის აკრძალვის, გაერთიანების თავისუფლების, საქმის სამართლიანი განხილვის, თავისუფლებისა და უსაფრთხოების* უფლების დაცვის ფუნდამენტურ პრინციპებს, რომელთაც „ქართული ოცნება" ყოველდღიურად უგულებელყოფს.

ნიშანდობლივია, რომ შეკრებისა და მანიფესტაციის მონაწილეებს უნდა ჰქონდეთ *საკმარისი შესაძლებლობა და დრო,* გამოხატონ თავიანთი შეხედულებები. შესაბამისად, მშვიდობიანი შეკრებები დროის შეზღუდვის გარეშე, თავისით უნდა დასრულდეს. <u>დაუშვებელია</u> შეკრების თავისუფლების უფლების შეზღუდვა მხოლოდ და მხოლოდ ***მათი სიხშირის გამო*,** ვინაიდან მანიფესტაციის დრო, ხანგრძლივობა და ჩატარების სიხშირე შესაძლებელია გადამწყვეტ როლს ასრულებდეს დასახული მიზნის მიღწევაში.[65] 2025 წლის 6 ნოემბრიდან „ქართული ოცნება" <u>აღარ აძლევს დემონსტრანტებს შესაძლებლობას,</u> ისარგებლონ შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების უფლებით - გადაკეტონ რუსთაველის გამზირი, რაც ასევე წარმოადგენს უფლებადარღვევას. საყურადღებოა, რომ აქციის დროისა და სიხშირის შეზღუდვის მცდელობა ე.წ. „პოლიციის კედლის" ჩაყენებით, დემონსტრანტების *მასობრივი დაკავებებითა* და სხვა მეთოდებით მანამდეც არაერთხელ ყოფილა. აღსანიშნავია, რომ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა თავი უნდა აარიდონ შეკრების მონაწილეების შეკავებას ან მათ **მასობრივ დაკავებას**, ვინაიდან მსგავსი განურჩეველი ზომების/ღონისძიებების გამოყენება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით შესაძლებელია <u>თავისუფლების თვითნებურ აღკვეთას</u> უტოლდებოდეს.[66]

---

[64] გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაეროს) *„ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია"*, მე-20 მუხლი, იხ. <u>ბმული</u> [07.11.2025].

[65] *გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის 2020 წლის N37 ზოგადი კომენტარი მშვიდობიანი შეკრების უფლების (21-ე მუხლის) შესახებ*, გვ. 9-10, პარაგრაფი 54, იხ. <u>ბმული</u> [07.11.2025].

[66] ვენეციის კომისია და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი (2020), *„გზამკვლევი მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების შესახებ"*, მე-3 გამოცემა. პარაგრაფი 35, გვ. 12, იხ. <u>ბმული</u> [07.11.2025].

სახის დამფარავი საშუალებების ტარებისა და „გზის ხელოვნურად გადაკეტვის“ საფუძვლით დემონსტრანტებისთვის ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდება, განმეორებითი „დარღვევის“ შემთხვევაში კი მათი სისხლისსამართლებრივი დევნა როგორც პირდაპირ, ასევე **ირიბად არღვევს** შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების უფლებას, ვინაიდან არაპროპორციულად და არასაჭიროდ მკაცრ სანქციებს შესაძლებელია ჰქონდეს *„მსუსხავი ეფექტი“* და დემონსტრანტები აიძულოს თავი შეიკავონ აქციაში მონაწილეობისგან.[67] საყურადღებოა, რომ „ქართული ოცნება“ პროფესიული მოვალეობის შესრულებისას მედიის წარმომადგენლებსაც არაერთი დაუსაბუთებელი საფუძვლით აკავებს, რაც, ერთი მხრივ, წარმოადგენს სისხლის სამართლის დანაშაულს,[68] ხოლო, მეორე მხრივ, *მნიშვნელოვნად ზღუდავს ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების უფლების განხორციელებას.*[69] აღნიშნული, თავის მხრივ, გამოხატვის თავისუფლების უფლებაში გაუმართლებელ ჩარევასაც წარმოადგენს.

„ქართული ოცნება“ მიღებული რეპრესიული საკანონმდებლო ცვლილებებით, მათი აღსრულებითა და სხვადასხვა ჯგუფის მიმართ განხორციელებული უფლებადარღვევებით *იმთავითვე გაუმართლებლად ერევა* როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე გარანტირებული უფლებებით დაცულ სფეროში, ვინაიდან ზემოაღნიშნული შეზღუდვები, უპირველეს ყოვლისა, შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების, გაერთიანების თავისუფლების ფაქტობრივი აკრძალვისკენ არის მიმართული.

---

[67] იქვე, პარაგრაფი 36.
იხ. ასევე: Novikova and Others v. Russia, nos. 25501/07 and 4 others, § 211, 26 April 2016, იხ. ბმული [07.11.2025].
[68] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლით განსაზღვრული დანაშაული - *„ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა“,* იხ. ბმული [07.11.2025].
[69] Mammadov and Abbasov v. Azerbaijan, no. 1172/12, § 62, 8 July 2021; იხ. ბმული [07.11.2025].
იხ. ასევე: Hayk Grigoryan v. Armenia, no. 9796/17, § 63, 3 April 2025; იხ. ბმული [07.11.2025].

დასკვნა

2024 წლის 28 ნოემბრიდან მიმდინარე პროტესტის ფარგლებში *აქციის მონაწილეების, მედიის წარმომადგენლების, უფლებადამცველების, საჯარო მოსამსახურეების, პოლიტიკოსებისა* და სხვა პირების უფლებების სხვადასხვა ფორმით დარღვევა დღემდე აქტიურად ხორციელდება, რამაც პარტია „ქართული ოცნების“ მხრიდან პოლიტიკური ნიშნით სისტემური დევნის სახე მიიღო. პარტიის გაცხადებულ მიზანს **ყველა კრიტიკულად განწყობილი**პირისა თუ ორგანიზაციის ხმის ჩახშობა წარმოადგენს, რასაც დამოუკიდებელი მედიაორგანიზაციებისა და სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფაქტობრივი აკრძალვით, ოპოზიციური პარტიების აკრძალვის პროცესის დაწყებითა და დემონსტრანტების, საჯარო მოსამსახურეების დევნით ახორციელებს.

ნიშანდობლივია, რომ „ქართული ოცნება“ პროტესტში ჩართული პირების კონსტიტუციით გარანტირებულ არაერთ უფლებას არღვევს, რასაც საფუძვლად *შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების უფლებების* შეზღუდვა უდევს. ირღვევა ის ინსტრუმენტული უფლებები, რომელთა სრულფასოვანი გამოყენების შეუძლებლობა სხვა თავისუფლებების რეალიზებასაც უქმნის საფრთხეს, რაც, თავის მხრივ, შეუთავსებელია კანონის უზენაესობისა და დემოკრატიის ფუნდამენტურ პრინციპებთან.

რეკომენდაციები

▼ *გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა უმაღლეს კომისარს (ვოლკერ ტურკს):*

მოუწოდოს პარტია „ქართულ ოცნებას“, შეწყვიტოს მიმდინარე პროტესტის ფარგლებში სხვადასხვა ჯგუფის *(აქციის მონაწილეები, მედიის წარმომადგენლები, უფლებადამცველები, საჯარო მოსამსახურეები, პოლიტიკოსები და სხვ.)* დევნა და *ობიექტურობის, ეფექტიანობისა* და *ყოველმხრივი გამოკვლევის პრინციპზე დაყრდნობით* გამოიძიოს მათ მიმართ განხორციელებული უფლებადარღვევის შემთხვევები.

▼ *გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა საბჭოს:*

თვალი ადევნოს გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის მიერ საქართველოს მიმართ გაცემული რეკომენდაციების იმპლემენტაციას და საკუთარი მანდატის ფარგლებში მიიღოს პარტია „ქართული ოცნების“ მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შეუსრულებლობაზე რეაგირებისკენ მიმართული ზომები.

▼ *გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომიტეტს:*

მოუწოდოს პარტია „ქართულ ოცნებას“, დაიცვას „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტითა და ზოგადი კომენტარებით (N34, N37) გათვალისწინებული ნორმები პროტესტის მონაწილეთა მიერ შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების უფლებით სარგებლობის შესახებ და უზრუნველყოს გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის 2025 წლის 15 ივნისის ანგარიშში მითითებული რეკომენდაციების სრულყოფილი იმპლემენტაცია.

▼ *ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარს (მაიკლ ო'ფლაჰერტის):*

○ მოუწოდოს პარტია „ქართულ ოცნებას", შეასრულოს 2025 წლის 26 მარტის მემორანდუმით [70] გაცემული რეკომენდაციები და მეთვალყურეობა გაუწიოს პარტია „ქართული ოცნების" მხრიდან მათ შესრულებას;

○ მოუწოდოს პარტია „ქართულ ოცნებას", უზრუნველყოს პროტესტის ფარგლებში განხორციელებულ უფლებადარღვევებზე პასუხისმგებელი პირების იდენტიფიცირება და შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება.

▼ *ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციას (OSCE):*

○ მოუწოდოს პარტია „ქართულ ოცნებას", *„ვენის მექანიზმის"* ამოქმედების ფარგლებში გაგზავნილ წერილში დასმულ საკითხებზე წარადგინოს დეტალური ინფორმაცია;

○ 2024 წლის 28 ნოემბრიდან მიმდინარე პროტესტის ფარგლებში მომხდარ უფლებადარღვევებთან მიმართებით აამოქმედოს *„მოსკოვის მექანიზმი"*.

▼ *ევროპულ კომისიას სამართლის მეშვეობით დემოკრატიის დასაცავად:*

მოუწოდოს პარტია „ქართულ ოცნებას", შეასრულოს 2025 წლის 15 ოქტომბერს კომისიის მიერ გაცემული დასკვნა (მოსაზრება) [71] კანონებზე, რომლებიც *„უცხოურ გავლენას"* შეეხება.

ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ფუნქციის განხორციელებაზე პასუხისმგებელ ორგანოებს/პირებს

▼ *საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:*

შეწყვიტოს პროტესტის მონაწილეებისა და მედიის წარმომადგენლების მიმართ თვითნებური და უკანონო ქმედებების *(უსაფუძვლო დაკავება, დაჯარიმება)* განხორციელება და *ორმაგი სტანდარტების* გამოყენება.

---

[70] Council of Europe - Commissioner for Human Rights, *"Memorandum on the human rights situation in Georgia"*, 26 March 2025; იხ. ბმული [11.10.2025].

[71] The European Commission for Democracy through Law (Venice Commission), *"Georgia - Opinion on the Law on the Registration of Foreign Agents, the amendments to the Law on Grants and other Laws relating to "foreign influence""*, 15 October 2025, Strasbourg; იხ. ბმული [11.10.2025].

▼ *საქართველოს პროკურატურას:*

შსს-ს/არაფორმალური ძალადობრივი ჯგუფების მიერ აქციის მონაწილეების, მედიის წარმომადგენლების მიმართ განხორციელებული ფიზიკური ძალადობის, შესაძლო წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტები გამოიძიოს სრულად და ობიექტურად, უფლებადარღვევების სწრაფი, ეფექტიანი და ყოველმხრივი გამოკვლევის საფუძველზე.

▼ *საქართველოს საერთო სასამართლოებს:*

როგორც პროტესტის მონაწილეთა წინააღმდეგ, ასევე თავად პროტესტში სხვადასხვა ფორმით ჩართული პირების მიერ წარდგენილ სარჩელებზე უზრუნველყონ ობიექტური, სრულყოფილი და ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელება.

▼ *საქართველოს სახალხო დამცველს:*

შეისწავლოს პროტესტის მონაწილეების წინააღმდეგ პარტია „ქართული ოცნების“ მიერ განხორციელებული უფლებადარღვევების შემთხვევები და გასცეს შესაბამისი რეკომენდაციები.

▼ *საქართველოს ანტიკორუფციულ ბიუროს:*

შეწყვიტოს სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მედია ორგანიზაციებისა და აქტივისტების წინააღმდეგ სხვადასხვა რეპრესიული საკანონმდებლო საფუძვლით „მონიტორინგის“ წარმოება.